ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 153/2

ქ. ხობი 19 სექტემბერი 2012 წელი.

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N 189, საიდენტიფიკაციო კოდი 244688600; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის N33030862 , სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი 220101465; შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის, გამგებლის გოგა ღურწკაიას სახით

და მეორეს მხრივ, ი/მ „მალხაზ ჭიჭინაძე" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისამართი ქ. ხობი ცოტნე დადიანის N 199 ტელეფონის ნომერი: 555338364 საბანკო რეკვიზიტები: საიდენტიფიკაციო კოდი: 58001004551 ანგარიშის ნომერი GE16LB0112126284383000 ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"–ს ხობის ფილიალი ბანკის კოდი 220101465 მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მალხაზ ჭიჭინაძის სახით

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 **ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს:** ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან შსს ხობის რაიონული სამმართველოს სარგებლობაში არსებული ავტომანქანების „სუზუკი გრანდ ვიტარა" სახ. ნომრით OCO-181 (2008 წლის) და „შკოდა ოქავია" სახ. ნომრით BVB-068(2011წლის) მარაგ ნაწილების შესყიდვა"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 კლასიფიკატორის კოდი: 34330000

1.3 ხელშეკრულებას თან ერთვის მარაგ ნაწილების ჩამონათვალი რაოდენობისა და ღირებულების მითითებით (დეფექტური აქტი), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს გარეშე) შეადგენს **450.00** ოთხას ორმოცდაათი ლარი) ლარს.

აქედან:

1 ავტომანქანა „სუზუკი გრანდ ვიტარა" სახ. ნომრით OCO-181-ის მარაგ ნაწილების ღირებულება -205 ლარი.

2. ავტომანქანა „შკოდა ოქავია" სახ. ნომრით BVB-068-ს მარაგ ნაწილების ღირებულება -245 ლარი.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განაზღვრულ ნორმებს და სტანდარტებს.

4. საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის ეტაპობრივი

ვადები და ადგილი

საქონლის მოწოდების ვადა განისაზღვროს 2012 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტებით.

5.2 მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება უნდა მოხდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 (ათი) დღეში.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 ანგარიშსწორებას ,,შემსყიდველი" განახორციელებს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, ,, მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ელექტრონული ვერსია) , ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის და გაწეული მომსახურების შესახებ მიღება- ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 20(ოცი) დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
7.3ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
7.4 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა,- ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.
9.3 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.
9.4 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორსმაჟორული სიტუაციები

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების

გარანტის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლისათვის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით ,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით , საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფოს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზის შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს. იგი თავისი შეხედულების , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2012 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე.

13. დავების გადაწყვეტის წესი

ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლო წესით

14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ინსპექტირება განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს:

1. "შემსყიდველი" ორგანიზაციის მხრიდან - შსს ხობის რაიონული სამმართველო მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით.

2. "მიმწოდებელი" ორგანიზაციის მხრიდან - მალხაზ ჭიჭინაძე.

15 . დასკვნითი დებულებანი

15.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გარღმავების სურვილით.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოს მას შემდეგ , რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ

მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

საფუძველი: შსს ხობის რაიონული სამმართველოს უფროსის ლ. რაფავას წერილი (N1185 17.09.2012წ.)

მხარეთა ხელმოწერები:

ხელშეკრულება შეთანხმებულია:

1. გამგებლის მოადგილე: მ.ბოკუჩავა
2. შსს ხობის რაიონული სამმართველოს უფროსი: ლ. რაფავა
3. გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ჭოჭუა
4. გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი: ბ. შონია
5. ადმინსტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი : ჯ. ბერაია

ხელისმოწერა და ბეჭედი

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი	ინდივიდუალური მეწარმე
გოგა ღურწკაია	მალხაზ ჭიჭინაძე

დეფექტური აქტი

ქ. ხობი

„ 14 " სექტემბერი 2012 წელი

შსს სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხობის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების ინსპექტორ გამომძიებელმა: ვახტანგ კვარაცხელიამ, მძღოლ–პოლიციელმა ჯუმბერ ქობალიამ, კომენდანტმა რამაზ მამფორიამ და ი/მ მალხაზ ჭიჭინაძემ შევადგინეთ ეს აქტი შემდეგზე:

შემოწმებულ იქნა ამავე სამმართველოზე რიცხული ავტომანქანები: 2008 წლის „სუზუკი გრანდ ვიტარა" სახ. ნომრით OCO-181, და 2011 წლის „შკოდა ოქავია" სახ. ნომრით BVB-068 და დადგინდა, რომ აღნიშნული ავტომანქანები საჭიროებს შემდეგი სახის მარაგი ნაწილების შეცვლას:

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
	„სუზუკი გრანდ ვიტარა" OCO-181				
1	მინის დასაბური „პლიონკა"	ცალი	2	20	40
2	მინის საწმენდი (ჩისტიტელი)	კომპლექტი	1	20	20
3	რეზინის ხალიჩა (კობრიკი)	კომპლექტი	1	50	50
4	ნათურები	ცალი	8	10	80
5	სანომრეები	კომპლექტი	1	15	15
					ჯამი: 205
	„შკოდა ოქავია" BVB-068				
1	მინის დასაბური „პლიონკა"	ცალი	2	20	40
2	მინის საწმენდი (ჩისტიტელი)	კომპლექტი	1	20	20
3	რეზინის ხალიჩა (კობრიკი)	კომპლექტი	1	50	50
4	ნათურები	ცალი	7	10	70
5	სანომრეები	კომპლექტი	1	15	15
6	სავარძლის ხალიჩა (ხის ნაკეთობის)	ცალი	1	50	50
					ჯამი: 245
					სულ: 450

1. /ჯ.ქობალია/
2. /რ.მამფორია/
3. /ვ.კვარაცხელია/
4. /მ.ჭიჭინაძე/